# შიდსი და საერთაშორისო პროგრამები მის წინააღმდეგ

მეოცე საუკუნის შავი ჭირი– ასე უწოდებენ შიდსს.

საქართველოში ინფიცირებულთა რაოდენობა სულ  უფრო მატულობს.ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, ეს მონაცემები ნამდვილად იძლევა შიშის საბაბს. ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში ინფიცირებულთაგან **557** იტარებს გამოკვლევას. მათ შორის **26** ბავშვია.

ცენტრის მონაცემებით **2010** წელს ინფიცირებულთა რაოდენობა **2 243**–ია  **( 1671**– მამაკაცი,  **572**–ქალი**).** შიდსი განუვითარდა **1262**  და **482** –გარდაიცვალა. **2010** წელს საქართველოში შიდსით ინფიცირების **7** ახალი შემთხვევა გამოვლინდა. მაგალითად, კახეთის რეგიონში შიდსით დაავადებული **91** ადამიანია რეგისტრირებული. პაციენტთა უმრავლესობა **29**–იდან **40** წლამდეა. შიდსით დაავადებულთა ზუსტი ციფრი არ არსებობს, თუმცა სავარაუდოდ ის **4 000**–იდან **4 500** მდე მერყეობს, რადგან ადამიანმა შეიძლება არც კი იცოდეს დაავადებულია თუ არა იგი. ცენტრში აღნიშნეს, რომ ორსულთა და ახალშობილთა ინფიცირების მზარდი დინამიკა შეიმჩნევა.

შიდსის გამოკვლევა და მკურნალობა მაია ცინცაძის **(** ცენტრის ექიმ–კონსულტანტი და მეცნიერებათა დოქტორი) განცხადებით სრულიად უფასოა.  პაციენტთა მკურნალობა ძირითადად ფინანსდება **"** შიდსთან, ტუბერკულოზთან, მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ფარგლებში**".** ნაწილს სახელმწიფო ბიუჯეტიც უზრუნველყოფს.

საქართველოში შიდსის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ნარკომანიაა. ბოლო წლებში შიდსი უფრო სექსუალური გზით გადადის. განსაკუთრებით ეს ინფექცია ვრცელდება მეუღლეებს შორის**( 2009** წელს  **19** შემთხვევა დაფიქსირდა**).**

არსებობს მედიკამენტები, რომლებიც შიდსთან საბრძოლველად გამოიყენება. ეს ანტირეტროვირუსული მედიკამენტებია. სპეციალისტები პაციენტებს შიდსის პრევენციისა და თავიდან  აცილების მიზნით სთავაზობენ რამდენიმე გზას: უარი თქვან ნარკოტიკების მოხმარებაზე, არ უნდა მოხდეს შეუმოწმებელი სისხლის

გადასხმა, სხვადასხვა საჭიროებისთვის გამოვიყენოთ სტერილური, არსებობს მედიკამენტები, რომლებიც შიდსთან საბრძოლველად გამოიყენება. ეს ანტირეტროვირუსული მედიკამენტებია. სპეციალისტები პაციენტებს შიდსის პრევენციისა და თავიდან აცილების მიზნით სთავაზობენ რამდენიმე გზას: უარი თქვან ნარკოტიკების მოხმარებაზე, არ უნდა მოხდეს შეუმოწმებელი სისხლის გადასხმა, სხვადასხვა საჭიროებისთვის გამოვიყენოთ სტერილური, ერთჯერადი შპრიცები, ნემსები და სამედიცინო ინსტრუმენტები. სექსის დროს აუცილებელია თავდაცვა.

არსებობს შიდსთან ბრძოლის სპეციალური პროგრამები.

შიდსის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა აერთიანებს ქვეყნის მასშტაბით **60** – მდე სადიაგნოსტიკო ლაბორატორიას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონალური და რაიონული ცენტრის ექიმ–ეპიდემიოლოგებს. ამ პროგრამაში შედის ინფიცირებული პირების ნებაყოფლობითი გამოვლენა კონსულტირების და ტესტირების გზით, ინფიცირებულ ორსულთა და ახალშობილთა აივ/სტატუსის დადგენა. ასევე ზედამხედველობას უწევენ ინფიცირებულებს და მათთან კონტაქტში მყოფ პირებს. პროგრამა ატარებს სამედიცინო პერსონალის მაღალ დონეზე მომზადებას, მოსახლეობასთან საგანმანათლებლო სამუშაოებს, რომ დაამკვიდრონ "ცხოვრების ჯანსაღი წესი". ამზადებენ შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს. პროგრამის სამიზნეა: მაღალი რისკის ჯგუფების პირები( ინფექციური ნარკომანები, კომერციული სექს–მუშაკები, ჰომოსექსუალები, **B** და **C** ჰეპატიტით დაავადებულები ),ლტოლვილები, ტუბერკულოზიანები, ორსულები, ახალშობილები და ისეთი ჯგუფები როგორიცაა: მეზღვაურები, სამხედროები, სამედიცინო პერსონალი, პატიმრები, მოსახლეობა და ინფიცირებულებთან კონტაქტში მყოფი პირები.

ამ სფეროში საქართველო გლობალურმა ფონდმაც დააფინანსა. პროექტის ძირითადი მიმართულებაა შიდსის საკითხებზე საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა, პროფილაქტიკა ნარკომანებს შორის, მეძავებს შორის, ახალგაზრდებს შორის, სისხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა , დედიდან შვილზე გადაცემის პროფილაქტიკა დაავადებულთა მკურნალობა და მოვლა.

არსებობს ასევე აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი. პროექტის მიზანია სქესობრივად გადამდები დაავადებების შემცირება საქართველოს ურბანულ ქალაქებში. მათი მიზანია უზრუნველყონ დაგეგმილი ზომების განხორციელება მაღალი რისკის ჯგუფებსა და მოსახლეობაში. პროექტი ხელს უწყობს ქვეყანაში სამედიცინო პერსონალის პროფესიული უნარჩვევების გაუმჯობესებას, ატარებს ტრენინგებს და ნერგავს ინოვაციებს. ისინი ყურადღებას ამახვილებენ სექს–მუშაკებზე, მათ არსებობს ასევე აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი. პროექტის მიზანია სქესობრივად გადამდები დაავადებების შემცირება საქართველოს ურბანულ ქალაქებში. მათი მიზანია უზრუნველყონ დაგეგმილი ზომების განხორციელება მაღალი რისკის ჯგუფებსა და მოსახლეობაში. პროექტი ხელს უწყობს ქვეყანაში სამედიცინო პერსონალის პროფესიული უნარჩვევების გაუმჯობესებას, ატარებს ტრენინგებს და ნერგავს ინოვაციებს. ისინი ყურადღებას ამახვილებენ სექს–მუშაკებზე, მათ კლიენტებზე, ნარკომანებზე და მათ პარტნიორებზე, ჰომოსექსუალებსა და მეზღვაურებზე.

საქართველოში აგრეთვე შექმნილია პროფილაქტიკური ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ დაინტერესებულ სამინისტროებს, გაეროს სააგენტოებს და

საერთაშორისო ორგანიზაციებს( სამთავრობოებს  და არასამთავრობოებს ). ჩატარდა ბაზისური კვლევები, ტრენინგები და  დაიბეჭდა სახელმძღვანელოები.

ასევე დიდი წვლილი შეაქვს ამ საქმეში მსოფლიო ორგანიზაციას ჯანმო , რომლის წარმომადგენელი საქართველოში ქალბატონი რუსუდან კლიმიაშვილია. ორგანიზაცია ანხორციელებს მონიტორინგს, დროის გარაფიკის , რესურსების კოორდინირებას. უზრუნველოფს შიდსის მკურნალობას და პრევენციას. ჯანმოს საშუალებით საქართველოში განხორციელდა შიდსის მკურნალობის ეროვნული პროტოკოლების გადასინჯვა და განახლება. ხელი შუწყვეს მკურნალობის ეფექტურობის, ზედამხედველობის მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული სისტემის გაუმჯობესებას. უზრუნველყვს ტექნიკური დახმარება და მედიკამენტების შეძენა მიწოდების მართვა.

ეს პროგრამები  დღემდე წარმატებულად  ფუნქციონირებენ საქართველოში და დიდ როლს თამაშობენ შიდსთან ბრძოლაში.